



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 11/09/2014 წ. - გადაწყვეტილება №2 (დანართი №1)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და  
მიღებულია

ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე  
დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების  
განხორციელებას.

მოამზადა:	სამუშაო კომისია	
შეამოწმა:	ხარისხის მართვის კომისია	
დაამტკიცა:	აკადემიური საბჭო	

დოკუმენტის No: IBSU.R5G

განახლების თარიღი:

29/01/2016

შემოწმებული ვერსია

შეუმოწმებული ვერსია

თარიღი: 11/09/2014

შხსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია. წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით,  
რომ დოკუმენტაციის ჩამონათვალში აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო რევიზიის ნომერი.  
ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში ხარისხის მართვის კომისიას წარუდგინეთ  
დოკუმენტის ცვლილებების მოთხოვნის ფორმა.

**შინაარსი**

შეტანილი ცვლილებები.....	4
ცვლილებების ნუსხა.....	5
მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო.....	7
მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები.....	7
მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის შემუშავება.....	7
მუხლი 4. სწავლების ენა.....	8
მუხლი 5. სწავლების ხანგრძლივობა.....	8
მუხლი 6. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა.....	8
მუხლი 7. უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლების საფუძვლები.....	10
მუხლი 8. რეგისტრაცია.....	11
მუხლი 9. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა.....	11
მუხლი 10. შეფასება.....	11
მუხლი 11. დასწრების, გამოცდებისა და დისციპლინარული ნორმები.....	12
მუხლი 12. კვლევის თემის დამტკიცება.....	12
მუხლი 13. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი.....	13
მუხლი 14. პროგრამის კოორდინატორი.....	15
მუხლი 15. უნივერსიტეტის ვალდებულებები დოქტორანტის წინაშე.....	15
მუხლი 16. სადისერტაციო საბჭო.....	15
მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს უფლება-მოვალეობები.....	16
მუხლი 18. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო.....	18
მუხლი 19. დისერტაციის ექსპერტები.....	18
მუხლი 20. დისერტაციის ოპონენტები.....	20
მუხლი 21. დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა.....	21
მუხლი 22. დისერტაციის შეფასება ექსპერტებისა და ოპონენტების მიერ.....	23
მუხლი 23. დისერტაციის წინა - დაცვა.....	23
მუხლი 24. კომისიის წევრები.....	24
მუხლი 25. დაცვისათვის მომზადება და დაცვის პროცესი.....	24
მუხლი 26. დისერტაციის შეფასება დაცვის დროს.....	25
მუხლი 27. აკადემიური ხარისხის მინიჭება.....	26

მუხლი 28. დისერტაციის გამოქვეყნება.....	26
მუხლი 29. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი .....	27
მუხლი 30. გაუქმება .....	27
მუხლი 31. დასკვნითი დებულებები .....	27
მუხლი 32. ძალაში შესვლა .....	27
მუხლი 33. განხორციელება.....	27

### შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	№	თარიღი
1.	აკადემიური საბჭო	2	10.11.2014
2.	აკადემიური საბჭო	5	13.03.2015
3.	აკადემიური საბჭო	5	05.05.2015
4.	აკადემიური საბჭო	3	22.10.2015
5.	აკადემიური საბჭო	2	10.12.2015
6.	აკადემიური საბჭო	2	12.01.2016
7.	აკადემიური საბჭო	1	29.01.2016

თავდაპირველი ვერსია: [11.09.2014](#)

ცვლილებების ნუსხა			
#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	10.11.2014	6.3	სტუდენტის ჩარიცხვა
02	10.11.2014	12.1.1.3 <sup>1</sup>	თემის დამტკიცების პროცედურა
03	10.11.2014	12.1.2.1	დოქტორანტის ანგარიშების დამტკიცების პროცედურა
04	10.11.2014	13.3	თემის ხელმძღვანელის დამტკიცების პროცედურა
05	10.11.2014	16.6 <sup>1</sup>	სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელის არჩევის საგამონაკლისო წესი
06	13.03.2015	2.1.4	სიტყვების „უცხო ენის“ განმარტება
07	13.03.2015	6.1.2	საქართველოს მოქალაქის ჩარიცხვის წესი
08	13.03.2015	6.6.4	სიტყვების „ინგლისური ენის“ შეცვლა „უცხო ენით“
09	13.03.2015	6.7	ჩარიცხვის პერიოდის გახანგრძლივება
10	13.03.2015	7	სიტყვების „ინგლისური ენის“ შეცვლა „უცხო ენით“
11	13.03.2015	7.1	სიტყვების „ინგლისური ენის“ შეცვლა „უცხო ენით“
12	13.03.2015	7.2	ინგლისურის (როგორც უცხო ენის) გამოცდის ჩაბარებისაგან გათავისუფლების საფუძვლები
13	13.03.2015	7.4	უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან გათავისუფლების საფუძვლები
14	05.05.2015	16.5	სადისერტაციო საბჭოს/დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი
15	05.05.2015	16.7	სადისერტაციო საბჭოს/დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი
16	22.10.2015	13.3	დისერტაციის ხელმძღვანელის დანიშვნა
17	22.10.2015	21.7	სწავლის საფასურისის გადახდისაგან გათავისუფლება
18	22.10.2015	21.8	დამატებით სემესტრში სწავლის საფასურის გადახდა
19	10.12.2015	12.1.1.5	სადოქტორო თემის გადამტკიცება
20	10.12.2015	21.5.3	დაცვაზე დაშვების წინაპირობა
21	12.01.2016	3	სადოქტორო პროგრამის შემუშავება
22	12.01.2016	6.1	ჩარიცხვის წესი
23	12.01.2016	6.2	ჩარიცხვის წესი
24	12.01.2016	6.3	ჩარიცხვის წესი
25	12.01.2016	6.4	ჩარიცხვის წესი

26	12.01.2016	6.5	ჩარიცხვის წესი
27	12.01.2016	13.3	ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დამტკიცების წესი
28	12.01.2016	20.1	დისერტაციის დაცვა
29	12.01.2016	20.7	დისერტაციის დაცვა
30	12.01.2016	20.11	დისერტაციის დაცვა
31	12.01.2016	20.12	დისერტაციის დაცვა
32	12.01.2016	20.13	დისერტაციის დაცვა
33	12.01.2016	24.3	კომისიის შემადგენლობა
34	29.01.2016	6.1.1	ჩარიცხვის წესი
35	29.01.2016	6.6.4	წარმოსადგენი საბუთების ნუსხა
36	29.01.2016	7	უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება
37	29.01.2016	16	სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა
38	29.01.2016	17.1	სადისერტაციო საბჭოს ფუნქციები
39	29.01.2016	18	დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

### მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს სადოქტორო სწავლებასა და სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „შსსუ“) დებულებების შესაბამისად.
- 1.2. წინამდებარე დებულება ვრცელდება შსსუ-ს ყველა ფაკულტეტზე.
- 1.3. დოქტორანტურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
- 1.4. სადოქტორო პროგრამა მოიცავს არანაკლებს 180 კრედიტს.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

- 2.1 **სსწი:** სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტი;
- 2.2 **უსდ:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
- 2.3 **სადისერტაციო საბჭო:** ფაკულტეტზე არსებული დარგობრივი სადისერტაციო საბჭო. დარგობრივი საბჭოს არარსებობის შემთხვევაში - ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო;
- 2.4 **უცხო ენა:** საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით განსაზღვრული ენა.

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 მარტის #5 გადაწყვეტილებით](#)*

### მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის შემუშავება

- 3.1 სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხორციელდება ინიციატორის მიერ (უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი), რომელიც პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, ხდება პროგრამის ხელმძღვანელი.
- 3.2 სადოქტორო პროგრამის შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:
  - 3.2.1 პირველი ეტაპი - ადმინისტრაციული საკითხების განხილვა. ინიციატორი ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ წინადადებას განიხილავს ფაკულტეტის საბჭოზე, სამაგისტრო და სადოქტორო ინსტიტუტის საბჭოზე და მმართველ საბჭოზე. აღნიშნული საბჭოების მიერ ინიციატორის წინადადების მოწონების შემთხვევაში, პროგრამის შემუშავების პროცესი გადადის მეორე ეტაპზე.

- 3.2.2 მეორე ეტაპი - აკადემიური საკითხების განხილვა. პირველი ეტაპის დასრულების შემდგომ, პროგრამის შინაარსობრივი მხარის განხილვა ხდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოზე, ხოლო შემდგომ, ფაკულტეტის საბჭოზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ პროგრამის პროექტის მოწონების შემთხვევაში, მისი დამტკიცდება ხდება აკადემიურ საბჭოზე.
- 3.3 სადოქტორო პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების შემდგომ, შსსუ-ს მიერ პროგრამის დამატება ხორციელდება ავტორიზაციის ან ავტორიზაციის წლიური თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ან აკრედიტაციის გზით კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 3.4 სადოქტორო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება 3.2.2 პუნქტით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
- 3.5 სადოქტორო პროგრამის გახსნისათვის საჭიროა პროგრამაზე სულ მცირე 4 (ოთხი) სტუდენტის არსებობა. განსაკუთრებულ შემთხვევებში, მმართველი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სადოქტორო პროგრამა შესაძლებელია გაიხსნას 3 სტუდენტის შემთხვევაშიც."

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით](#)*

#### **მუხლი 4. სწავლების ენა**

- 4.1 სადოქტორო პროგრამებზე სწავლების ენა არის ქართული, ინგლისური, თურქული.

#### **მუხლი 5. სწავლების ხანგრძლივობა**

- 5.1 სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა სადოქტორო პროგრამაზე არის 6 სემესტრი. სტუდენტი უფლებამოსილია სადოქტორო პროგრამა დაასრულოს 5 სემესტრში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
- 5.2 სტუდენტი, რომელმაც ვერ დაამთავრა სადოქტორო პროგრამა 6 სემესტრის განმავლობაში, უფლებამოსილია გააგრძელოს სწავლა თვითდაფინანსების გზით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ - IBSU.R3G და „ფინანსური დებულების“ - IBSU.R9G მოთხოვნების შესაბამისად.

#### **მუხლი 6. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვა**

- 6.1 შსსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე განმცხადებელი ჩარიცხება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისაღები გამოცდებისა და საკვლევი თემის პროექტის საფუძველზე. მისაღები გამოცდები ტარდება უცხო ენაში და სპეციალობაში.

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით](#)*



- 6.1.1 უცხო ქვეყნის მოქალაქე/უცხო ქვეყანაში მინიჭებული აკადემიური ხარისხის/ დაგროვებული კრედიტების მქონე პირისათვის: განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მაგისტრის ან მისი ექვივალენტური აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი, ან უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში მოპოვებული კრედიტების დამადასტურებელი ნიშნების ფურცელი, ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა/გამოცდები, ხოლო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა დაუდასტუროს დიპლომის/დაგროვილი კრედიტების ნამდვილობა.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის #1 გადაწყვეტილებით.*
- 6.1.2 საქართველოს მოქალაქე/საქართველოში მინიჭებული აკადემიური ხარისხის/ დაგროვებული კრედიტების მქონე პირისათვის: განმცხადებელი წარმოადგენს საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული მაგისტრის ან ექვივალენტური აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს, და წარმატებით ჩააბარებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული გამოცდა/გამოცდებს.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 მარტის #5 გადაწყვეტილებით.*
- 6.2 საქართველოს ტერიტორიაზე არმყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, მისაღები გამოცდ(ებ)ის ჩატარება შესაძლებელია განხორციელდეს ონლიან რეჟიმში.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.*
- 6.3 მისაღები გამოცდების ორგანიზებას ახდენს სსწი. მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატთან იდება ხელშეკრულება და გამოიცემა რექტორის აქტი მისი ჩარიცხვის შესახებ.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2015 წლის 10 ნოემბრის #2 გადაწყვეტილებით.*  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.*
- 6.4 განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს საკვლევი თემის პროექტი (საორიენტაციო მოცულობა 5 გვერდი) მისი სამომავლო კვლევის სფეროში. საკვლევი თემის პროექტს აფასებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 (სამი) სადისერტაციო საბჭოს წევრისაგან (პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით). შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკის მიხედვით, (რომელიც, თავის მხრივ, სადოქტორო პროგრამის ნაწილია). კომისიის ორი წევრის თანხმობა საკმარისია საკვლევი თემის პროექტის დადებითად შესაფასებლად.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.*
- 6.5 გამოცდა სპეციალობაში ტარდება პროგრამის სწავლების ენაზე.  
*ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.*

6.6 რეგისტრაციის პერიოდში წარსადგენი საბუთების ჩამონათვალი ქვეყნდება უნივერსიტეტის მიერ. განმცხადებელმა, როგორც წესი, უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- 6.6.1 ინფორმაცია საგანმანათლებლო და პრაქტიკული გამოცდილების შესახებ (რეზიუმე);
- 6.6.2 მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიალურად დამოწმებული ასლი (არასახელმწიფო ენაზე გაცემული დიპლომებისათვის - ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი);
- 6.6.3 საიდენტიფიკაციო ბარათის ან პასპორტის ასლი (უცხოენოვან პასპორტს თან უნდა ახლდეს ნოტარიალურად დამოწმებული თარგმანი);
- 6.6.4 უცხო ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი / უცხოენოვანი პროგრამის დასრულების შედეგად მინიჭებული ბაკალავრის/მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ განმცხადებელი აბარებს B2 დონის შესაბამის, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში, ამ დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის)/ უცხო ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (თუ განმცხადებელი აბარებს C1 დონის შესაბამის, უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში ამ დოკუმენტების წარმოდგენა სავალდებულო არ არის).

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 მარტის #5 გადაწყვეტილებით](#)  
[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის #1 გადაწყვეტილებით](#)*

6.7 თუ ჩარიცხვის პერიოდი ემთხვევა სემესტრის დაწყებიდან მერვე ან შემდგომ კვირებს, სტუდენტის ჩარიცხვა მოხდება მომდევნო აკადემიური წლიდან/სასწავლო სემესტრიდან. გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს სსწი-ს საბჭოს გადაწყვეტილებით.

*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 მარტის #5 გადაწყვეტილებით](#)*

## **მუხლი 7. უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლების საფუძვლები**

7.1 თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენის ცოდნა B2 დონეზე, უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება:

- 7.1.1 განმცხადებელი, რომელსაც ბაკალავრის /მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად;
- 7.1.2 თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების მიხედვით უცხო ენა არის ინგლისური ენა, განმცხადებელი, რომელსაც აქვს ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი (TOEFL IBT, IELTS და FCE);

- 7.1.3 განმცხადებელი, თუ მას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს დამთავრებული უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა და ამ პროგრამის ფარგლებში მისი ნიშნების საშუალო (GPA) არის სულ მცირე 75 (100-დან) ან 3 (4-დან). (ამოქმედდეს 2015-2016 სასწავლო წლიდან).
- 7.2 წინამდებარე დებულების მიზნებისათვის, სერტიფიკატი YDS (100 ქულიდან მინიმუმ 75 ქულა) უთანაბრდება ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს.
- 7.3 თუ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია უცხო ენის ცოდნა C1 დონეზე, უცხო ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება:
- 7.3.1 განმცხადებელი, რომელსაც აქვს უცხო ენის C1 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი
- [ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 13 მარტის #5 გადაწყვეტილებით](#)  
[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის #1 გადაწყვეტილებით](#)

## მუხლი 8. რეგისტრაცია

- 8.1 სადოქტორო საფეხურზე რეგისტრაციის პროცესი განისაზღვრება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ IBSU.R3G-ს 22-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.
- 8.2 წინამდებარე დებულების მიზნებისათვის, ფაკულტეტის საბჭოს თანხმობის (საპატიო მიზეზის ფაქტის დადგენა დაგვიანებული რეგისტრაციისათვის - IBSU.R3G-ს 22.5-ე მუხლი) ნაცვლად, საჭიროა სსწი-ს საბჭოს თანხმობა.
- 8.3 წინამდებარე დებულების მიზნებისათვის (IBSU.R3G-ს 22.7-ე მუხლისგან განსხვავებით), არჩევითი სასწავლო კურსის გახსნისათვის საჭირო სულ მცირე 5 სტუდენტი.

## მუხლი 9. სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

- 9.1 სადოქტორო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს, რომელიც თავის მხრივ შედგება სასწავლო კომპონენტისაგან (პროფესორის ასისტირება, სასწავლო პრაქტიკა, კვლევითი უნარები და ა.შ) და კვლევითი კომპონენტისაგან (სადოქტორო სემინარი, დისერტაციის მომზადება და დაცვა და ა.შ.). თითოეული კომპონენტისათვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის მოთხოვნებისა და იმ კომპეტენციების შესაბამისად, რომლის გამომუშავებასაც ისახავს მიზნად შესაბამისი სასწავლო კურსი/კომპონენტი.

## მუხლი 10. შეფასება

- 10.1 შეფასება ხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებში მიღებული შედეგების საფუძველზე. ამასთან, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისათვის გამოიყენება განსხვავებული შეფასების სქემები.

- 10.2 შეფასების მეთოდი და ფორმატი განისაზღვრება სილაბუსის ავტორის მიერ (რომელიც დოქტორანტისათვის ხელმისაწვდომი ხდება სემესტრის დასაწყისისთანავე).
- 10.3 სასწავლო კურსები ფასდება სხვადასხვა კომპონენტით (მათ შორის შუალედური და დასკვნითი გამოცდებით).
- 10.4 სასწავლო კურსის შეფასებასთან - გამოცდებთან დაკავშირებული ყველა საკითხი რეგულირდება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ - IBSU.R3G შესაბამისად.

### მუხლი 11. დასწრების, გამოცდებისა და დისციპლინარული ნორმები

- 11.1 სადოქტორო პროგრამის სტუდენტის დასწრების, გამოცდების მიმართ მოქმედი წესები და დისციპლინარული საკითხები განსაზღვრულია შხსუ-ს რეგულაციებით („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ - IBSU.R3G, „სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესი“ - IBSU.R7G).

### მუხლი 12. კვლევის თემის დამტკიცება

- 12.1 კვლევის თემის დამტკიცება ხდება ორ ეტაპად:

#### 12.1.1 პირველი ეტაპი:

12.1.1.1 დოქტორანტი ირჩევს სადისერტაციო თემის სათაურს და მის პოტენციურ სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ერთად ამზადებს ინდივიდუალური კვლევის გეგმას, რომელიც უნდა მოიცავდეს კვლევის მიზნებს, სტრუქტურას და კვლევის შესრულების სავარაუდო გრაფიკს.

12.1.1.2 მეორე სემესტრის ბოლოს დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თემის სავარაუდო სათაურს და ინდივიდუალურ კვლევით გეგმას.

12.1.1.3 თემის სათაურისა და ინდივიდუალური კვლევითი გეგმის დამტკიცება ხდება სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, სადაც დოქტორანტი წარმოადგენს მოკლე პრეზენტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელი შესაძლოა სხდომას დაესწროს „ონლაინ“ რეჟიმში. სადისერტაციო საბჭოს მიერ თემის სათაურისა და ინდივიდუალური კვლევის გეგმის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, სტუდენტის ეძლევა მაქსიმუმ 2 თვის ვადა თემის სათაურის/კვლევის გეგმის შესაცვლელად.

12.1.1.3<sup>1</sup> სადოქტორო სადისერტაციო საბჭოს დამტკიცების შემდეგ, თემის სათაურის დამტკიცება ხდება სსწი-ს საბჭოზე.

*ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის # 2 გადაწყვეტილებით*

12.1.1.4 კვლევის თემისა და ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შინაარსის ამსახველი ოქმი, სტუდენტის მიერ დისერტაციის დაცვამდე ინახება სადისერტაციო საბჭოს მდივანთან;

12.1.1.5 თუ დოქტორანტის სტუდენტური სტატუსის შეჩერების ვადამ გადააჭარბა 2 სემესტრს, სტატუსის აღდგენისას მიზანშეწონილია მოხდეს მისი სადოქტორო დისერტაციის სათაურის გადამტკიცება.

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 10 დეკემბრის #2 გადაწყვეტილებით](#)

12.1.2 მეორე ეტაპი:

12.1.2.1 მესამე სემესტრიდან ყოველ სემესტრში ხელმძღვანელის ხელმოწერით დადასტურებული დოქტორანტის ანგარიშები მტკიცდება სსწი-ს საბჭოს მიერ.

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის # 2 გადაწყვეტილებით](#)

12.1.2.2 თემის სათაურის საბოლოო ვარიანტი შესაძლებელია გადამტკიცდეს სწავლების მეხუთე სემესტრის ბოლომდე. პირველადი დამტკიცების შემდეგ, თემის სათაურის დაზუსტების ან შეცვლის შემთხვევაში, დისერტაციის დაცვა შესაძლებელია სათაურის შეცვლიდან სულ მცირე თვის შემდეგ, რომლის ზუსტ პერიოდსაც განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

### მუხლი 13. დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

13.1 ხელმძღვანელი უნდა იყოს შხსუ-ს ან სხვა უსდ-ს ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი. ხელმძღვანელის მიერ შხსუ-ში აკადემიური თანამდებობის დატოვება არ გამოიწვევს მის მიერ ხელმძღვანელობის ვალდებულების გაუქმებას, თუ მან შხსუ-ში აკადემიური პოზიციის დატოვების შემდეგ სხვა უსდ-ში დაიკავა აკადემიური პოზიცია. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელი მოწვეულ იქნება როგორც სადისერტაციო საბჭოს წევრი.

13.2 თანახელმძღვანელი შესაძლებელია იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი (მათ შორის პენსიაზე გასული პირი).

13.3 ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი მტკიცდება სადისერტაციო საბჭოს მიერ მეოთხე სემესტრის დასაწყისში. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე ხელმძღვანელი უნდა გაეცნოს წინამდებარე დებულებას.

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის # 2 გადაწყვეტილებით](#)

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ოქტომბრის # 3 გადაწყვეტილებით](#)

[ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.](#)

13.4 შხსუ-ს ერთი პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი შეიძლება დაინიშნოს მაქსიმუმ 4 დოქტორანტის ხელმძღვანელად (ამასთან არაუმეტეს 3 დოქტორანტისა ერთი კურსიდან).

- 13.5 მეორე სემესტრის ბოლოს უნივერსიტეტი, დოქტორანტი, სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი და ხელმძღვანელი ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც არეგულირებს მხარეთა უფლება-მოვალეობებსა და ხელმძღვანელის ანაზღაურების საკითხებს. აღნიშნული ხელშეკრულების ნაწილი არის დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა.
- 13.6 ხელმძღვანელი ზედამხედველობას უწევს დოქტორანტის მიერ კვლევითი გეგმის შესრულებას. მესამე სემესტრიდან ყოველი სემესტრის ბოლოს ხელმძღვანელი ხელს აწერს სტუდენტის ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიში ასახავს რეალური სიტუაციას, (აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს ეხმარება განსაზღვროს თუ რატომ ვერ დასრულდა დისერტაცია დროულად). თუ ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ანგარიშები დადებითია, თუმცა დოქტორანტმა დროულად ვერ დაასრულა დისერტაციაზე მუშაობა, ხელმძღვანელი მიიღებს გაფრთხილებას. თუ სტუდენტმა არ შეიძერა სტატუსი, იგი გააგრძელებს სწავლის საფასურის გადახდას, ხოლო ხელმძღვანელი მიიღებს ანაზღაურებს მის მიერ გაწეული სამუშაოსათვის. ამასთან, სტუდენტი უფლებამოსილია შეცვალოს ხელმძღვანელი ან ხელმძღვანელმა განაცხადოს უარი სტუდენტის ხელმძღვანელობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ხდება სადისერტაციო საბჭოს მიერ.
- 13.7 ხელმძღვანელის შეცვლის მიზნით, დოქტორანტმა უნდა მიმართოს პროგრამის კოორდინატორს, რომელიც აღნიშნულ საკითხს წარადგენს სადისერტაციო საბჭოს წინაშე. ხელმძღვანელის შეცვლის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია დისერტაცია დასაცავად წარადგინოს, ხელმძღვანელის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილებიდან არანაკლებ 1 თვის შემდეგ.
- 13.8 დებულების 14.3 პუნქტის საფუძველზე და/ან საჭიროების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის არსებული ხელშეკრულების გაუქმებისა და ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ. გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.
- 13.9 დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელისათვის რეზიუმესა და დისერტაციის საბოლოო ვარიანტის ჩაბარების შემდეგ, ხელმძღვანელს აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადა დასკვნის დასაწერად. სადისერტაციო საბჭოს წინაშე დისერტაციის წარდგენის მიზნით, სამეცნიერო ხელმძღვანელმა უნდა დაადასტუროს:
- 13.9.1 დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციის შესაბამისობა დისერტაციის შინაარსთან;
  - 13.9.2 დისერტაციასთან რეზიუმეს შესაბამისობა;
  - 13.9.3 სტუდენტის მიერ დისერტაციაზე მუშაობის დამთავრების ფაქტი (რაც გულისხმობს რომ ნამუშევარს ახასიათებს სიახლე,

სამეცნიერო/თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, შეიცავს ლიტერატურის მიმოხილვას და კვლევით ნაწილს, მიესადაგება შხსუ-ს მიერ დადგენილ დისერტაციის ფორმატს და შესრულებულია სტილისტურად გამართული ენით).

#### **მუხლი 14. პროგრამის კოორდინატორი**

- 14.1 პროგრამის კოორდინატორი პასუხისმგებელია შესაბამისი პროგრამის განხორციელებაზე.
- 14.2 პროგრამის კოორდინატორი არის სადისერტაციო საბჭოს წევრი.
- 14.3 პროგრამის კოორდინატორი დოქტორანტს უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელით, ადასტურებს დისერტაციის თემის შესაბამისობას დისერტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე ფაკულტეტის სადისერტაციო (დარგობრივი) საბჭოს წინაშე აყენებს ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს.
- 14.4 პროგრამის კოორდინატორმა ზედამხედველობა უნდა გაუწიოს დოქტორანტის სწავლების ეტაპებს და დოკუმენტებს (აღებული სავალდებულო კურსები, ხელმძღვანელისა და თემის დადასტურება, კვლევითი გეგმა, ანგარიშები).

#### **მუხლი 15. უნივერსიტეტის ვალდებულებები დოქტორანტის წინაშე**

- 15.1 ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, შხსუ დოქტორანტს უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელით და უქმნის სამეცნიერო მუშაობის წარმართვისათვის შესაბამის გარემოს, რაც მოიცავს, თეორიული და/ან ექსპერიმენტალური შედეგებს და დოქტორანტის ინფრაცის ხელშეწყობას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში.
- 15.2 დოქტორანტი ინფორმირებული უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს მიერ მასთან დაკავშირებით მიღებული ყველა გადაწყვეტილების შესახებ.

#### **მუხლი 16. სადისერტაციო საბჭო**

- 16.1 სადისერტაციო საბჭო შედგება, ფაკულტეტის ყველა ასოცირებული პროფესორისა და ფაკულტეტის პროფესორისაგან და მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.
- 16.2 ფაკულტეტის თითოეული სადოქტორო პროგრამისათვის, სადისერტაციო საბჭო, საკუთარი წევრებისაგან, ამტკიცებს შესაბამის დარგობრივ საბჭო(ებ)ს. საჭიროების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს წარდგინებით, მოწვეული სპეციალისტები შეიძლება შევიდნენ დარგობრივ სადისერტაციო საბჭოში. (ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური პოზიციის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, გამოქვეყნებული ნაშრომების სია).

- 16.3 სადისერტაციო საბჭოში/დარგობრივ საბჭოში უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის წარმომადგენელი მინიმუმ 5 წევრი. შსსუ-ს აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეადგინოს წევრთა ნახევარზე მეტი. პროფესორი/ასოცირებული პროფესორი ერთდროულად შესაძლებელია იყოს მაქსიმუმ ორი დარგობრივი საბჭოს წევრი (მიუხედავდ იმისა, ისინი ერთი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თუ არა).
- 16.4 სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა უბრალო უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.
- 16.5 ფაკულტეტის დეკანი არის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. სადისერტაციო საბჭოსა და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ინიშნებიან სადისერტაციო საბჭოს მიერ. სადისერტაციო საბჭოს/დარგობრივი საბჭოს მდივნები ინიშნებიან აკადემიური საბჭოს მიერ. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი შეიძლება იყოს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მდივანი.
- 16.6 თუ ფაკულტეტის დეკანი ვერ აკმაყოფილებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრობისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელი აირჩევა სადისერტაციო საბჭოს წევრებიდან და დამტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.
- 16.7 საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და ყველა დამსწრე წევრი.
- 16.8 საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია მოიწვიოს საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრთა ინიციატივით საბჭოს მოწვევა შესაძლებელია წევრთა უბრალო უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე. ამ შემთხვევაში თავმჯდომარემ უნდა დანიშნოს სხდომა.
- 16.9 თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, სხდომას უძღვება თავმჯდომარის მოადგილე.
- [ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2014 წლის 10 ნოემბრის # 2 გადაწყვეტილებით](#)  
[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 05 მაისის #5 გადაწყვეტილებით](#)  
[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის #1 გადაწყვეტილებით](#)

### მუხლი 17. სადისერტაციო საბჭოს უფლება-მოვალეობები

- 17.1 სადისერტაციო საბჭო ირჩევს და ამტკიცებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრებს, ისევე სადისერტაციო საბჭოსა და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე(ებ)ს.
- [ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის #1 გადაწყვეტილებით](#)



- 17.2 წინამდებარე ფუნქციები სრულდება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ (არსებობის შემთხვევაში). წინააღმდეგ შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო:
- 17.2.1 განიხილავს წარდგენილი სადისერტაციო თემის მნიშვნელობას, მონაწილეობს დისერტაციის სათაურის ფორმულირებაში, ამტკიცებს დისერტაციის სათაურს;
  - 17.2.2 სადოქტორო პროგრამის კოორდინატორის წარდგინებით განიხილავს ხელმძღვანელის კანდიდატურას, აგრეთვე წყვეტს ხელმძღვანელის შეცვლის საკითხს;
  - 17.2.3 განიხილავს დოქტორანტის ინდივიდუალურ კვლევით გეგმას;
  - 17.2.4 ამტკიცებს ექსპერტებს და ოპონენტებს;
  - 17.2.5 ამტკიცებს კომისიის წევრებს;
  - 17.2.6 განსაზღვრავს დაცვის თარიღს;
  - 17.2.7 აკადემიურ საბჭოს წინაშე აყენებს საკითხს სადოქტორო დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების (IBSU\_R05.F01EG) გადახედვის შესახებ;
  - 17.2.8 უზრუნველყოფს სტუდენტს დისერტაციის შეფასების კრიტერიუმების წინასწარი გაცნობით და სთავაზობს კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.
- 17.3 დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ, კომისიის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.
- 17.4 სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებია:
- 17.4.1 უზრუნველყოს სადისერტაციო საბჭოს ჯეროვანი ფუნქციონირება წინამდებარე დებულების შესაბამისად. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე პასუხისმგებელია მისი საქმიანობისათვის;
  - 17.4.2 უძღვება საბჭოს მუშაობას;
  - 17.4.3 იწვევს და თავმჯდომარეობს სხდომებს.
- 17.5 დაცვის პროცესის ორგანიზებას უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის, ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში - თავმჯდომარის მოადგილე.
- 17.6 სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლება-მოვალეობები:
- 17.6.1 იღებს და აარქივებს დაცვისათვის საჭირო დოკუმენტებს წინამდებარე დებულების შესაბამისად. არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში უარს ამბობს მათ მიღებაზე. დოკუმენტის მიღება ხდება მხოლოდ მისი ჯეროვანი ფორმით წარდგენის შემთხვევაში;

- 17.6.2 დოქტორანტს უწევს კონსულტაციას წარსდაგენ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით როგორც დაცვის წინა, აგრეთვე დაცვის შემდგომ ეტაპზე;
- 17.6.3 ექსპერტებსა და ოპონენტებს გადასცემს დისერტაციის ასლებს, რეზიუმესა და პუბლიკაციებს (ელექტრონული და/ან მატერიალური ფორმით, მათი მოთხოვნის შესაბამისად).

### **მუხლი 18. დარგობრივი სადისერტაციო საბჭო**

- 18.1 ფაკულტეტის დარგობრივი სადისერტაციო საბჭო იქმნება თითოეული სადოქტორო პროგრამისათვის. აღნიშნული საბჭო აერთიანებს ფაკულტეტზე მომუშავე იმ სპეციალისტებს, რომლებსაც დაცული აქვთ სადისერტაცია შესაბამის სფეროში, აქვთ სამეცნიერო ნაშრომები და/ან სამუშაო გამოცდილება. ფაკულტეტის დარგობრივ სადისერტაციო საბჭოში უნდა იყოს შესაბამისი მიმართულების სულ მცირე 5 (ხუთი) წევრი. საჭიროების შემთხვევაში, მათში შეიძლება გაერთიანდნენ მოწვეული წევრები დებულების 16.2 პუნქტით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. შპს-ს აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეადგინოს საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
- 18.2 ფაკულტეტის დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნისა და საბჭოს წევრობის საკითხები განსაზღვრულია 16.5 პუნქტით.
- 18.3 დარგობრივი საბჭოს უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია 17.2 პუნქტით.  
*[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის #1 გადაწყვეტილებით](#)*

### **მუხლი 19. დისერტაციის ექსპერტები**

- 19.1 დოქტორანტის მიერ დისერტაციის ჩაბარების შემდეგ, მისი შემოწმება ხდება სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული ორი ექსპერტის მიერ.
- 19.2 ექსპერტი უნდა იყოს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს წევრი. დოქტორანტის პუბლიკაციის თანაავტორი არ შეიძლება იყოს მისი ექსპერტი.
- 19.3 თუ სადისერტაციო თემა დარგთაშორისია, შესაძლებელია დამატებითი ექსპერტის დანიშვნა.
- 19.4 ექსპერტთა კანდიდატურა, ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე მტკიცდება დარგობრივ სადისერტაციო საბჭოზე.
- 19.5 ექსპერტი წერს დასკვნას. დასკვნაში ექსპერტმა ყურადღება უნდა მიაქციოს დისერტაციის ფორმატს და სტილს, მის შესაბამისობას „საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის და სადოქტორო დისერტაციის მომზადების გზამკვლევთან“ – IBSU.R3.I11G. ამასთან, თუ დასკვნაში ექსპერტმა დააფიქსირა ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, დოქტორანტის მიერ მათი გათვალისწინება ხდება იმავე სემესტრში. ფორმატთან დაკავშირებით შენიშვნის გამოთქმის შემთხვევაში, ხელმძღვანელი

- მიიღებს გაფრთხილებას. ტექნიკური ხასიათის შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, წინადაცვის მერე ექსპერტი ვალდებულია დაწეროს მეორე დასკვნა.
- 19.6 დისერტაციისა და რეზიუმეს შეფასების გარდა, ექსპერტის დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციას დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. ექსპერტის მიერ დასკვნის მომზადება ხდება დისერტაციის შედასებისათვის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში.
- 19.7 დისერტაციის ასლის, რეზიუმესა და პუბლიკაციების (ელექტრონული და/ან მატერიალური ფორმით, ექსპერტის მოთხოვნის შესაბამისად), ექსპერტისათვის გადაცემა ხდება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ.
- 19.8 ექსპერტის დასკვნის სარეკომენდაციო სტრუქტურა:
- 19.8.1 შეფასებულია რამდენად მნიშვნელოვანია დისერტაციაში განხილული თემა (მნიშვნელოვანია, სიახლის შემცველია და ხასიათდება სამეცნიერო და პრაქტიკული დანიშნულებით);
  - 19.8.2 შეფასებულია სტრუქტურა (შეიცავს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, მსჯელობისა და კვლევით ნაწილებს, მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას და დასკვნას);
  - 19.8.3 მოცემულია ექსპერტის რეკომენდაცია (ტექნიკური გაუმჯობესების, მცირე შინაარსობრივი გაუმჯობესების, არსებითი გაუმჯობესების ან უარყოფის შესახებ).
- 19.20 თუ ერთ - ერთი ექსპერტის შეფასება არის უარყოფითი (მცირე შინაარსობრივი გაუმჯობესების, არსებითი გაუმჯობესება, უარყოფა) და დოქტორანტი თანახმაა ექსპერტის დასკვნაში მითითებული შენიშვნები ასახოს დისერტაციაში, მას ეძლევა სულ მცირე ერთი სემესტრი დისერტაციის გასაუმჯობესებლად. თუ უარყოფითი შეფასების მიცემა მოხდა სემესტრის დასაწყისში, ან სემესტრის მიმდინარეობისას, გაუმჯობესებისათვის განსაზღვრული მინიმალური პერიოდი არის 19 კვირა. თუ დოქტორანტი არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას, შეიძლება დაინიშნოს ახალი ექსპერტი. ახალი ექსპერტის დანიშვნის შემთხვევაში, თუ ორივე ექსპერტის შეფასება არის დადებითი, ხოლო ერთის უარყოფითი, დოქტორანტი გადავა დაცვის შემდგომ საფეხურზე.
- 19.21 თუ ორივე ექსპერტის შეფასება არის უარყოფითი, დოქტორანტს ეძლევა სულ მცირე ერთი სემესტრი დისერტაციის გასაუმჯობესებლად. თუ უარყოფითი შეფასების მიცემა მოხდა სემესტრის დასაწყისში, ან სემესტრის მიმდინარეობისას, გაუმჯობესებისათვის განსაზღვრული მინიმალური პერიოდი არის 19 კვირა. ამ პერიოდში დოქტორანტი აგრძელებს სწავლის საფასურის გახდას, ხოლო ხელმძღვანელი მისი სამუშაოს შესრულებას.

## მუხლი 20. დისერტაციის ოპონენტები

- 20.1 დისერტაციის დაცვის პროცესის შემდეგ ეტაპზე გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დისერტაცია ფასდება ორი ოპონენტის მიერ. ასევე შეიძლება მესამე ოპონენტის სახით შესაძლებელია მოწვეულ იქნეს უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სოცირებული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი და/ან სფეროს ექსპერტი.  
[ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.](#)
- 20.2 ოპონენტის კანდიდატურებს, ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
- 20.3 ოპონენტებმა დასკვნა უნდა წარადგინონ ოპონენტად დანიშნვიდან ერთი თვის ვადაში. ოპონენტი დისერტაციას აფასებს როგორც დამაკმაყოფილებელი ან არადამაკმაყოფილებელი (მისი შინაარსისა და ფორმატის გათვალისწინებით). ოპონენტის დასკვნის სტრუქტურა ექსპერტის დასკვნის სტრუქტურის მსგავსია.
- 20.4 ოპონენტი შესაძლებელია იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომ სამეცნიერო აქტივობები და პუბლიკაციები დარგობრივად/სპეციალობით შეესაბამება დისერტაციის თემად. ოპონენტი უნდა იყოს სხვა უნივერსიტეტის (მათ შორის უცხო ქვეყნის უნივერსიტეტის) ასოცირებული პროფესორი ან პროფესორი, ან სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მეცნიერ მკვლევარი.
- 20.5 დისერტაციის ოპონენტი ვერ იქნება დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი ან იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც კვლევა შესრულდა.
- 20.6 პირი, რომელიც თანამადებობრივი მდგომარეობით დამოკიდებულია დოქტორანტზე, ვერ იქნება მისი ოპონენტი.
- 20.7 ოპონენტები არ შეიძლება მუშაობდნენ ერთი და იმავე ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულში (ფაკულტეტი, მიმართულება).  
[ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.](#)
- 20.8 დისერტაციის ასლის, რეზიუმესა და პუბლიკაციების (ელექტრონული და/ან მატერიალური ფორმით, ოპონენტის მოთხოვნის შესაბამისად), ოპონენტისათვის გადაცემა ხდება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ.
- 20.9 ოპონენტმა უნდა წარადგინოს მისი დასკვნა მათი კანდიდატურების დამტკიცების მომენტიდან ერთი თვის ვადაში. დასკვნა უნდა მოიცავდეს რეკომენდაციას დისერტაციის დაცვაზე დაშვებისა და სამიწილებლი აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ/ დისერტაციის დოქტორანტისათვის დაბრუნებისა და გაუმჯობესების შესახებ/ დისერტაციის დაცვაზე არდაშვების შესახებ. დასკვნა უნდა შეიცავდეს რეკომენდაციას ტექნიკური გაუმჯობესების/ მცირე შინაარსობრივი გაუმჯობესების/ არსებითი გაუმჯობესების ან უარყოფის შესახებ.

- 20.10 სადისერტაციო საბჭო დასკვნის ასლებს აწვდის დოქტორანტს.
- 20.11 ოპონენტი, რომელმაც გააკეთა უარყოფითი შეფასება, უნდა დაესწროს დაცვას. საერთაშორისო ექსპერტის შემთხვევაში, ჩართვა ხდება ონლაინ რეჟიმში.  
*[ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.](#)*
- 20.12 თუ ყველა შეფასება დადებითია, მინიმუმ ერთი ოპონენტი მაინც უნდა დაესწროს დაცვას.  
*[ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.](#)*
- 20.13 ამოღებულია.  
*[ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.](#)*

### მუხლი 21. დისერტაციის დაცვისათვის წარდგენა

- 21.1 დისერტაცია არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, დოქტორანტის მიერ დაცული სამეცნიერო ნაშრომი. იგი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის შედეგია, რომელიც ეფუძნება ახალ შეძენილ ცოდნასა და ემსახურება შესაბამისი დარგის განვითარებას. თუ დოქტორანტი არის კვლევითი ჯგუფის წევრი, მისი წვლილი კვლევაში უნდა იყოს გამოყოფილი.
- 21.2 დისერტაცია იწერება პროგრამის სწავლების ენაზე. დოქტორანტმა აგრეთვე უნდა წარადგინოს დისერტაციის შემოკლებული ვარიანტი - რეზიუმე (16-20 გვერდი). რეზიუმე სრულდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, იმ პროგრამებისათვის სადაც სწავლების ენა არის ქართული ან ინგლისური, ხოლო ქართულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე, იმ პროგრამისათვის სადაც სწავლების ენა არის თურქული.
- 21.3 დისერტაციის მოცულობა, ფორმატი და სტილი: 110-150 დაბეჭდილი გვერდი (+/- 10%), ფონტის ზომა 12 (სათაურების ფონტის ზომა 14), 1.5 ინტერვალი, მარცხენა მინდორი 3 სმ, მარჯვენა მინდორი - 1,5 სმ, ზედა და ქვედა მინდორები 2,5 სმ. დისერტაციის მოცულობა შეიძლება განსხვავდებოდეს სპეციალობების მიხედვით. ინგლისურენოვანი და თურქულენოვანი ტექსტისათვის ფონტი უნდა იყოს „Times New Roman“, ხოლო ქართულენოვანი ტექსტისათვის „Sylfaen“. რეზიუმეს პარამეტრები დისერტაციის პარამეტრების მსგავსია. დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს APA სტილში. დისერტაციის შესრულების ტექნიკური საკითხები განსაზღვრულია „საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის და სადოქტორო დისერტაციის მომზადების გზამკვლევი“ – IBSU.R3.I11G.
- 21.4 პლაგიატობის შემოწმების მიზნით, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო ქმნის ჯგუფს ხელმძღვანელის, ერთ-ერთი ექსპერტისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობის მქონე პირის შემადგენლობით, რათა შესაბამისი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით შეამოწმონ დოქტორანტის აკადემიური პატიოსნება.
- 21.5 წინადაცვაზე დაშვების მიზნით, დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს მდივანს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

- 21.5.1 განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე, დისერტაციის დასრულების შესახებ. განცხადების ასლი გადაეცემა სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების ინსტიტუტის მდივანს;
- 21.5.2 სადოქტორო პროგრამის შესაბამისი სასწავლო კომპონენტის დასრულების კრედიტების დამადასტურებელი კრედიტების ამსახველი ნიშნების ფურცელი;
- 21.5.3 დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სულ მცირე სამი პუბლიკაცია (მათ შორის ორი უნდა იყოს გამოქვეყნებული რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, ხოლო ერთი - საერთაშორისო ციტირების ინდექსის SSI ან SOC მქონე ჟურნალში.) შსსუ-ს ჟურნალში გამოქვეყნება მიიჩნევა როგორც საერთაშორისო ციტირების ინდექსის მქონე ჟურნალში გამოქვეყნება. პუბლიკაციები წარდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლიარად (ჟურნალის ყდის, სარჩევისა და სტატიის ჩათვლით);  
{დისერტაციის თემასთან დაკავშირებული სულ მცირე სამი პუბლიკაცია (მათ შორის ორი უნდა იყოს გამოქვეყნებული რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში, ხოლო ამ ორიდან ერთი - შსსუ-ს ჟურნალში) პუბლიკაციები წარდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლიარად (ჟურნალის ყდის, სარჩევისა და სტატიის ჩათვლით);}
- {ამოქმედდეს 2016-2017 სასწავლო წლიდან}  
[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 10 დეკემბრის #2 გადაწყვეტილებით](#)
- 21.5.4 დასაბეჭდად ჩაშვებული პუბლიკაციები მხედველობაში მიიღება მხოლოდ წინადაცვის ეტაპზე. (პუბლიკაციის ტექსტი და დასაბეჭდად ჩაშვების შესახებ დასტურის წერილი უნდა იყოს წარდგენილი). ნაშრომების გამოქვეყნებამდე გადაწყვეტილება დაცვის დღის დანიშვნის შესახებ ვერ მიიღება;
- 21.5.5 სამეცნიერო ხელმძღვანელის დასტური დისერტაციასთან პუბლიკაციებისა და რეზიუმეს შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე დოქტორანტის მიერ სამუშაოს დასრულების შესახებ;
- 21.5.6 დისერტაციისა და რეზიუმეს აკინძული, შსსუ-ს სტანდარტებით დაბეჭდილი 3 ასლი, ელექტრონული ვერსია დისკით, (ტექნიკური დეტალებისათვის იხ. „საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის და სადოქტორო დისერტაციის მომზადების გზამკვლევი” - IBSU.R3.I11G);
- 21.5.7 დოქტორანტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი ცნობა სტუდენტურ საქმეთა განყოფილებიდან.
- 21.6 დისერტაციის, რეზიუმესა და სხვა დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, მაქსიმუმ 10 სამუშაო დღის ვადაში სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს ოპონენტებს და ექსპერტებს.

21.7 დოქტორანტის მიერ მეექვსე სემესტრის ბოლოს დისერტაციის წარდგენისა და ექსპერტების მიერ დადებითი შეფასებების მიღების შემთხვევაში, სტუდენტი დამატებით სემესტრში თავისუფლდება სწავლის საფასურის გადახდისაგან.

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ოქტომბრის #3 გადაწყვეტილებით.](#)

21.8 (ამოღებულია)

[ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 2015 წლის 22 ოქტომბრის #3 გადაწყვეტილებით.](#)

## **მუხლი 22. დისერტაციის შეფასება ექსპერტებისა და ოპონენტების მიერ**

22.1 დადებითი შეფასების მიღებისათვის, დისერტაცია უნდა ხასიათდებოდეს ორგინალობითა და იყოს დამოუკიდებელი მუშაობის შედეგი. იგი უნდა მოიცავდეს ლიტერატურის მიმოხილვას, მიზანშეწონილია საკითხის როგორც ისტორიული, აგრეთვე თანამედროვე პერიოდში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა, მსჯელობის ნაწილს და კვლევას (გამოკითხვა, შემთხვევის ანალიზი, ექსპერიმენტი და ა.შ. განხორციელებული მკვლევარის ან დოქტორანტის მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფა). ყველა ცნების (განსაკუთრებით ახლის) დეფინიცია უნდა იყოს წარმოდგენილი. დისერტაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მახასიათებლებს: სიახლე, აქტუალობა, კვლევის სამეცნიერო/თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება და ა.შ. ჰიპოთეზები და კვლევის დროს წამოჭრილი პრობლემები უნდა იყოს ჯეროვნად დასაბუთებული. რეკომენდაციები და შეთავაზებული დასკვნები უნდა გამომდინარეობდეს დისერტაციაში არსებული ანალიზიდან.

22.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს გამართული ენითა და ლოგიკური ფორმით. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. ციტირების ტექნიკის, მითითებებისა და ბეჭდვის ფორმატი დაცული უნდა იყოს.

22.3 პუბლიკაციები უნდა ასახავდეს დისერტაციის ძირითად მასალას.

## **მუხლი 23. დისერტაციის წინა - დაცვა**

23.1 წინა-დაცვას ესწრება დოქტორანტი, მისი ხელმძღვანელი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე), ექსპერტები და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. წინა-დაცვაში ხელმძღვანელის ონლინ მონაწილეობა ნებადართულია. დოქტორანტი ვალდებულია წინა-დაცვაზე გამოვლენილი ტექნიკური ხარიათის შენიშვნების ასახვა მოახდინოს დისერტაციაში.

23.2 ექსპერტების მიერ დისერტაციის დადებითად შეფასების (მხედველობაში არ მიიღება ტექნიკური შენიშვნები), წინა-დაცვის წარმატებად გავლისა და წინა-დაცვაზე გამოვლენილი ტექნიკური ხარვეზების (არსებობის შემთხვევაში) დოქტორანტის მიერ გამოსწორების შემთხვევაში, ექსპერტი წერს საბოლოო დასკვნას მაქსიმუმ 30 კალენდარული დღის ვადაში. თუ დასკვნა დადებითია, ხდება

ოპონენტებისა და კომისიის წევრების დანიშვნა, შესაბამისი ოქმის გაფორმების გზით.

#### **მუხლი 24. კომისიის წევრები**

- 24.1 კომისიის წევრთა კანდიდატურას ხელმძღვანელი წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს დასამტკიცებლად.
- 24.2 სადისერტაციო საბჭო კომისიის წევრებსა და ოპონენტების ამტკიცებს ერთად.
- 24.3 კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 7 (შვიდი) წევრისაგან. კომისიის შემადგენლობა უნდა იყოს ლუწი. ყველა ექსპერტი და ოპონენტი არის კომისიის წევრი. შხსუ-ს აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეადგინოს წევრთა ნახევარზე მეტი. [\*ცვლილებები შეტანილია აკადემიურის საბჭოს 2016 წლის 12 იანვრის #2 გადაწყვეტილებით.\*](#)
- 24.4 დაცვის პროცესის დაწყებამდე, კომისია ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.
- 24.5 სადისერტაციო საბჭოს მდივანი ამავდროულად არის კომისიის მდივანი, ხმის უფლების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა თუ მისი კვალიფიკაცია შეესაბამება შესაბამის დარგობრივ სადისერტაციო საბჭოს.
- 24.6 სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს დაცვის თარიღს და აცნობებს აღნიშნულის თაობაზე დოქტორანტს. ინფორმაცია დაცვის შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, მას შემდეგ რაც ორივე ოპონენტი წარადგენს დასკვნებს, მაგრამ არაუგვიანეს დაცვამდე 10 დღით ადრე.
- 24.7 დოქტორანტის ხელმძღვანელი არ არის კომისიის წევრი, თუმცა ესწრება დაცვას.
- 24.8 დაცვამდე 10 სამუშაო დღით ადრე კომისიის წევრებს მიეწოდებათ რეზიუმეს ასლები. დაცვის დროს კომისიის ყველა წევრი გაცნობილი უნდა იყოს ოპონენტების დასკვნებსა და სადისერტაციო საბჭოსათვის გაგზავნილი ნებისმერი წერილობითი განცხადების შესახებ.
- 24.9 კომისიის წევრები უფლებამოსილები არიან გადაწყვეტილება მიიღონ თუ სხდომას ესწრება წევრთა 2/3, მაგრამ არანაკლებ 5 წევრისა.
- 24.10 აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო იყოს არანაკლებ 51.

#### **მუხლი 25. დაცვისათვის მომზადება და დაცვის პროცესი**

- 25.1 დაცვის თარიღი ინიშნება ოპონენტების დასკვნების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.



- 25.2 სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია დოქტორანტს წერილობითი ფორმით აცნობოს მისი დაშვების შესახებ დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. აგრეთვე, მისცეს ოპონენტთა დასკვნა დაცვამდე 10 სამუშაო დღით ადრე. ინფორმაცია აგრეთვე უნდა მოიცავდეს დაცვის თარიღს.
- 25.3 დოქტორანტთან დაკავშირებული დოკუმენტები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- 25.4 დაცვა საჯაროა. ინფორმაცია დაცვის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე დაცვამდე 10 სამუშაო დღით ადრე.
- 25.5 დაცვა ხორციელდება პროგრამის სწავლების ენაზე.
- 25.6 დაცვის პროცესი მოიცავს:
  - 25.6.1 დოქტორანტის ზეპირ პრეზენტაციას (არაუმეტეს 30 წუთი);
  - 25.6.2 ოპონენტების დასკვნების საჯარო გაცნობას;
  - 25.6.3 დასკვნებში მითითებულ საკვანძო საკითხებზე დოქტორანტის პასუხებს;
  - 25.6.4 სამეცნიერო დისკუსიას;
  - 25.6.5 ხელმძღვანელის შეფასებას;
  - 25.6.6 დამსწრეთა შეფასებებს;
  - 25.6.7 დისერტაციის შეფასების დახურულ ნაწილს;
  - 25.6.8 დისერტაციის შეფასების საჯარო გამოცხადებას;
  - 25.6.9 დოქტორანტის შემაჯამებელი სიტყვა.
- 25.7 თითო სესია მასპინძლობს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვას.
- 25.8 თუ დისერტაციის დაცვა ვერ ტარდება დადგენილ დროს (წინასწარ ცნობილი მიზეზებიდან გამომდინარე), მისი დაცვა გადაიდება არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

## **მუხლი 26. დისერტაციის შეფასება დაცვის დროს**

- 26.1 დისერტაციის შეფასება ხდება IBSU.R05.F01EG-ით დადაგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
- 26.2 დაცვა ფასდება კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე. დისერტაციისა და მისი შეფასებების საფუძველზე (გამოითვლება საშუალო არითმეტიკული), კომისია იღებს გადაწყვეტილებას.
- 26.3 შეფასება არსებობს ორი სახის: დაიცვა (51-100 ქულა) ან ვერ დაიცვა (0-50 ქულა).
- 26.4 დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის ხდება შეფასების შემდეგი სისტემის გამოყენება:

	ლათინურად	შეფასება	ექვივალენტი ქულა
a.	summa cum laude	ფრიადი	91-100
b.	magna cum laud	ძალიან კარგი	81-90
c.	cum laude	კარგი	71-80
d.	bene	საშუალო	61-70
e.	rite	დამაკმაყოფილებელი	51-60
f.	insuffiecienter	არადამაკმაყოფილებელი	41-50
g.	sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი	40 ან ნაკლები

26.5 თუ დოქტორანტი მიიღებს შეფასებას „summa cum laude”, „ magna cum laud”, „cum laude”, „bene”, „rite” , მას მიენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. შეფასება „insuffiecienter” - ს მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. შეფასება - „ sub omni canone” –ს მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

26.6 შედეგის გამოცხადება ხდება კომისიის თავმჯდომარის მიერ.

**მუხლი 27. აკადემიური ხარისხის მინიჭება**

27.1 დოქტორანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც თავის მხრივ გადაწყვეტილებას იღებს კომისიის წევრების სხდომის ოქმში ასახული გადაწყვეტილების შესაბამისად.

**მუხლი 28. დისერტაციის გამოქვეყნება**

28.1 უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმისა და და დისერტაციის ავტორეფერატის ატვირთვა სავალდებულოა. დისერტაციის სრული ტექსტი მატერიალური და ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ელექტრონული ვერსიის ბიბლიოთეკიდან გატანა /გადაწერა შესაძლებელია ოფიციალური განცხადების საფუძველზე. სადისერტაციო საბჭოს მდივანი ვალდებულია გამოქვეყნოს დაცვის ოქმი და და რეზიუმე დროულად (დაცვიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში), შხს-ს მოთხოვნების გათვალისწინებით.

28.2 დისერტაციის ორი ეგზემპლარი და რეზიუმეები უბრუნდება დოქტორანტს, ორი ეგზემპლარი რჩება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო ელექტრონული ვარიანტი სადისერტაციო საბჭოს არქივში.

### **მუხლი 29. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი**

29.1 დაცვისა და შესაბამისი ოქმების გაფორმების შემდგომ, სსწი გასცემს ცნობას, რომელიც ძალაში იქნება დიპლომის გაცემამდე. აღნიშნული ცნობა ადასტურებს რომ პირს მიენიჭა დოქტორის აკადემიური ხარისხი.

### **მუხლი 30. გაუქმება**

30.1 დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დიპლომი შეიძლება არ გაიცეს, ან გაცემული დიპლომი გაუქმდეს, თუ დადგინდა რომ კვლევის მონაცემები არის ყალბი, ან სახეზეა აკადემიური პატიოსნების წესების დარღვევა (პლაგიატი). აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სადისერტაციო საბჭოს მიერ.

### **მუხლი 31. დასკვნითი დებულებები**

- 31.1 დოქტორანტის ფინანსური ვალდებულებები გაწერილია „ფინანსურ დებულებაში“ - IBSU.R9G.
- 31.2 საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ IBSU.R3G და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა დებულებებით.
- 31.3 ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება დებულებაში შედის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
- 31.4 დებულების 12.1.1.3, 12.1.2.2, 13.7, 13.9, 19.6, 20.3, 20.9 პუნქტებში მითითებული პერიოდის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება აკადემიური პერსონალის შვებულებაში ყოფნის დრო.

### **მუხლი 32. ძალაში შესვლა**

32.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე და ამოქმედდება 2014/2015 სასწავლო წლიდან.

### **მუხლი 33. განხორციელება**

33.1 წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სამაგისტრო და სადოქტორო ინსტიტუტის მიერ.

*უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შსსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*შსსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. საზოგადოების ყველა წევრს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს უკეთესი განათლება, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, გვარის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, მენტალური, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**  
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, თბილისი, 0131  
საქართველოს რესპუბლიკა  
[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)  
[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

